

ენერგო სისტემის პროექტირება ELF TSU Net სადგურისთვის

ავტორი: პავლე წოჭოლაური

ხელმძღვანელი: ლევ გეონჯიანი

ელ-ფოსტა: pavle.tsotskolauri922@ens.tsu.edu.ge

ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის გამზირი 1,0179, თბილისი, საქართველო

მოხსენების მიზანია მსმენელს გააცნოს მზის პანელებისა და ქარის გენერატორისგან შემდგარი უნიფიცირებული კვების სისტემის პროექტი, რომლის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსტრემალურად დაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური გამოსხივების კვლევითი სადგურის (ELF TSU Net) ენერგო მომარაგება სავლე პირობებში. სისტემა იქმნება „იდეალიზირებული პროექტირების“ მიდგომით, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სისტემის ტექნიკური დავალება და მასზე მუშაობისას მიღებული თითოეული გადაწყვეტილების დასაბუთება. სისტემის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის არის უნიფიცირებული მოდულური სტრუქტურა, რომლის გამოყენებაც შეიძლება სხვადასხვა სამეცნიერო და სამომხმარებლო მიზნებისთვის.